ოქმი #7

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2017 წლის 31 ოქტომბრის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), ვ. გარსევანიშვილი, მ. ელიაშვილი, ხ. ინასარიძე, ი. კიღურაძე, ვ. კოკილაშვილი, მ. მანია, ა. ხარაზიშვილი, მ. ჯიბლაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 12 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 9 წევრი);

ინსტიტუტის დირექტორის მ. შ.: ნინო ფარცვანია.

დღის წესრიგი:

1. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისიის შექმნა.

არჩეულ იქნა: სხდომის მდივანი - მამუკა ჯიბლაძე.

მოისმინეს: ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2017 წლის 20 ოქტომბერს თსუ რექტორის # 206/01-01 ბრძანებით გამოცხადდა კონკურსი სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში – ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში სამეცნიერო პერსონალის - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერი თანამშრომელი - სამსახურში მისაღებად. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ თსუ რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინოს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია.

მოისმინეს: სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თ. ქადეიშვილის, საბჭოს წევრების ი. კიღურაძის, ვ. კოკილაშვილის, მ. მანიას გამოსვლები, რომლებმაც ზემოთ აღნიშნული კომისიის წევრობის კანდიდატებად დაასახელეს: დავით ნატროშვილი, ვაჟა ტარიელაძე, დუგლას უგულავა, ივანე წერეთელი, თემურ ჯანგველაძე.

დაადგინეს:

1) წარედგინოს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **დავით ნატროშვილი** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
2. **ვაჟა ტარიელაძე** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოთვლითი მათემატიკის დეპარტამენტის პროფესორი, სტუ ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე;
3. **დუგლას უგულავა** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის პროფესორი; სტუ ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე;
4. **ივანე წერეთელი** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

5. **თემურ ჯანგველაძე** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის პროფესორი.

2) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციაა ზემოთ აღნიშნული საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე იყოს დავით ნატროშვილი, თავმჯდომარის მოადგილე - თემურ ჯანგველაძე, ხოლო კომისიის მდივანი - დუგლას უგულავა.

სხდომის თავმჯდომარე ბ. ქადეიშვილი

სხდომის მდივანი მ. ჯიბლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს წევრები

2017 წლის 31 ოქტომბრის სხდომა

1. ქადეიშვილი თორნიკე (საბჭოს თავ-რე)
2. ბერიკაშვილი ნოდარ
3. გარსევანიშვილი ვახტანგ
4. დუდუჩავა როლანდ
5. ელიაშვილი მერაბ
6. ინასარიძე ხვედრი
7. კიღურაძე ივანე
8. კოკილაშვილი ვახტანგ
9. მანია მიხეილ
10. ხარაზიშვილი ალექსანდრე
11. ხარიბეგაშვილი სერგო
12. ჯიბლაძე მამუკა

სათათბირო ხმის უფლებით:

1. ფარცვანია ნინო (დირექტორის მ.შ.)